www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

2022 წელი

03.10.2023

www.geostat.ge

03.10.2023

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2022 წელი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2022 წელს, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20.8 პროცენტით გაიზარდა და 181.8 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2022 წელს მისი მოცულობა 71.8 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 24.6 პროცენტით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობა კვარტლების მიხედვით



2022 წელს მთლიანი ბრუნვის 65.5 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 16.1 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 18.3 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 48.6 პროცენტი, საშუალოზე - 23.7 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 27.7 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2022 წელი



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2022 წელს 101.4 მლრდ. ლარი, ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 65.8 მლრდ. ლარი შეადგინა. საქონლისა და მომსახურების მთლიანი ყიდვები 24.6 პროცენტით, ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები 27.0 პროცენტით მეტია გასული წლის მაჩვენებლებზე.

2022 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 779.4 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 4.7 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 43.1 პროცენტი ქალია, ხოლო 56.9 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 39.9 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 20.3 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 39.8 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 726.2 ათასი კაცი შეადგინა (გასულ წელთან შედარებით - 5.5 პროცენტით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 14 283.9 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასულ წელთან შედარებით - 25.8 პროცენტით მეტი).

2022 წელს საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 605.9 ლარს გაუტოლდა (გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 258.3 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 1 264.0 ლარი (გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 199.6 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1 822.4 ლარი,
- საშუალო ბიზნესი – 1 862.2 ლარი,
- მცირე ბიზნესი – 1 187.2 ლარი.

03.10.2023

2022 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 38.1 პროცენტი მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 29.1 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 9.4 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 6.0 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 5.1 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 3.1 პროცენტიანი წილით, ხოლო დარჩენილი 9.2 პროცენტი კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2022 წელი



2022 წელს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (22.2 პროცენტი) და ვაჭრობა (19.2 პროცენტი), შემდეგ მოდის მშენებლობა (16.6 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9.5 პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 32.5 პროცენტიანი წილი უჭირავს:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2022 წელი



2022 წელს დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 28.5 პროცენტი, 12.2 პროცენტი და 10.0 პროცენტიანი წილებით). თუმცა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.5 პროცენტი), მშენებლობის (8.4 პროცენტი), ინფორმაციისა და კომუნიკაციის საქმიანობების (5.0 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდებისა დარგის საწარმოებზეც (4.8 პროცენტი):

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2022 წელი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობა 2022 წელს, გასული წელთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2021 წელი	2022 წელი	2022 წლის ზრდის ტემპი 2021 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**150 414.9**	**181 764.6**	**120.8**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	773.7	915.5	118.3
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1 218.8	1 411.7	115.8
დამამუშავებელი მრეწველობა	14 760.9	17 030.0	115.4
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	4 865.8	5 662.0	116.4
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	369.4	412.3	111.6
მშენებლობა	8 250.7	10 913.7	132.3
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	54 678.9	69 244.6	126.6
ტრანსპორტი და დასაწყობება	6 985.7	9 302.3	133.2
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1 722.9	2 393.7	138.9
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	726.9	973.9	134.0
საკვებით და სასმელებით მომსახურება	996.0	1 419.8	142.5
ინფორმაცია და კომუნიკაცია	2 494.3	4 117.8	165.1
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1 395.2	1 743.9	125.0
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1 687.2	1 856.1	110.0
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	990.9	1 421.1	143.4
განათლება	505.9	620.8	122.7
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1 465.3	1 589.2	108.5
ხელოვნება გართობა და დასვენება	48 086.2	52 904.1	110.0
სხვა სახის მომსახურება	163.1	225.7	138.3

03.10.2023

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2022 წელს, გასული წელთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2021 წელი	2022 წელი	2022 წლის ზრდის ტემპი 2021 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**57 613.8**	**71 778.9**	**124.6**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	869.9	1 026.9	118.1
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1 217.2	1 427.5	117.3
დამამუშავებელი მრეწველობა	14 030.1	15 954.1	113.7
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	2 455.0	2 983.5	121.5
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	431.3	497.6	115.4
მშენებლობა	9 118.6	11 891.9	130.4
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	10 621.8	13 765.5	129.6
ტრანსპორტი და დასაწყობება	5 070.9	6 852.9	135.1
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1 712.6	2 414.9	141.0
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	716.5	995.1	138.9
საკვებით და სასმელებით მომსახურება	996.0	1 419.8	142.5
ინფორმაცია და კომუნიკაცია	2 413.2	4 107.1	170.2
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1 387.4	1 720.2	124.0
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1 542.9	1 712.6	111.0
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	733.5	1 016.2	138.5
განათლება	534.4	668.3	125.1
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	2 824.8	2 628.9	93.1
ხელოვნება გართობა და დასვენება	2 488.1	2 883.8	115.9
სხვა სახის მომსახურება	162.0	226.9	140.1

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობა 2022 წელს, გასული წელთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE REV. 2	2021 წელი	2022 წელი	2022 წლის ზრდის ტემპი 2021 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**744 256**	**779 418**	**104.7**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	13 014	13 140	101.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	12 055	12 579	104.3
დამამუშავებელი მრეწველობა	93 294	94 888	101.7
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	15 751	15 175	96.3
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14 782	14 721	99.6
მშენებლობა	64 258	65 489	101.9
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	212 942	222 427	104.5
ტრანსპორტი და დასაწყობება	62 592	66 554	106.3
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	33 526	37 336	111.4
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	13 654	15 043	110.2
საკვებით და სასმელებით მომსახურება	19 872	22 292	112.2
ინფორმაცია და კომუნიკაცია	30 596	39 008	127.5
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	18 860	19 563	103.7
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	25 244	26,024	103.1
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	20 662	22,493	108.9
განათლება	22 679	23,241	102.5
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	76 952	78,128	101.5
ხელოვნება გართობა და დასვენება	18 509	19,864	107.3
სხვა სახის მომსახურება	8 538	8,787	102.9

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 76.7 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 6.0 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 4.8 პროცენტი
- იმერეთი – 4.4 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.2 პროცენტი

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 61.9 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 9.0 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 8.1 პროცენტი
- იმერეთი – 7.1 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.6 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას (მლნ. ლარი):



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 62.2 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 9.7 პროცენტი
- იმერეთი – 7.6 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 6.1 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.8 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:

- საქმიანობის სექტორები K O T U
- 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)

2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

- ძირითადი საქმიანობის შესაბამისად
- ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2. შპს „საქართველოს ფოსტა“
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
4. სს „სილქნეტი“
5. სს „საქართველოს რკინიგზა“
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
7. სს „საქენერგორემონტი“
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია** (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	„სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
I	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა;სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:
თინათინ ქსოვრელი, ტელ: 2 36 72 10 (217) E-mail: tksovreli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020) E-mail: mkavelashvili@geostat.ge